სსიპ კოლეჯი „აისი“

კურსდამთავრებულთა კვლევა

კვლევის განმახორციელებელი:

სსიპ კოლეჯი „აისი“

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამსახური

2020 წელი

შინაარსი

შესავალი 3

კვლევის მიზნები 3

კვლევის ამოცანები 3

კვლევის
მეთოდოლოგია.....4

კვლევის ტექნიკური
მხარე.....5

კვლევის სამიზნე
ჯგუფი 5

კვლევის შედეგები 6

ცალკეულ პროფესიებზე დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი 8

კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან
დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება 18

დასკვნა.....26

შესავალი

კურსდამთავრებულთა კვლევა საუკეთესო საშუალებაა სწავლების გრძელვადიანი შედეგების გაზომვის, შეფასების და აღწერისთვის. კვლევა გვაძლევს ინფორმაციას, თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, სტაჟირება, უმუშევრობა). შეგროვებული მონაცემები მოიცავს როგორც კურსდამთავრებულთა შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას, ასევე მათ აღქმებს და შეფასებებს.

ანგარიშში მოცემულია კვლევის მონაცემები ცხრილებისა და გრაფიკების სახით. ცხრილებსა და გრაფიკებს ერთვის მონაცემთა ტექსტური ანალიზი.

კვლევის მიზნები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევას გააჩნია ორი მთავარი მიზანი:

- შესწავლილ იქნას, როგორ აფასებენ კურსდამთავრებულები კოლეჯის მიერ მათთვის გაწეულ მომსახურებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში;
- შესწავლილი იქნას სწავლის დასრულების შემდგომ კოლეჯ „აისის“ 2020 წლის კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობა.

კვლევა გამოავლენს, რამდენი კურსდამთავრებული დასაქმდა პროფესიით, რამდენია თვითდასაქმებული და რამდენი მუშაობს არასპეციალობით. ასევე, რამდენმა გააგრძელა სწავლა, რამდენი არის სამსახურის გარეშე და რა არის მათი უმუშევრობის მიზეზი.

კვლევის ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს განვიხილოთ, რა შეიძლება გაკეთდეს სამომავლოდ, რომ კოლეჯ „აისის“ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი გაიზარდოს.

კვლევის ამოცანები

კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა:

1. პროფესიულ სასწავლებელთან ურთიერთობის გზების შეფასება;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
3. პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება;
4. კოლეჯის ადამიანური რესურსის შეფასება;
5. კოლეჯის მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურით კმაყოფილების შეფასება;
6. კურსდამთავრებულთა სწავლის დასრულების შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებით (დასაქმება/თვითდასაქმება/სტაჟირება/სწავლის გაგრძელება და სწავლის დასრულების შემდგომი სხვა საქმიანობა) ინფორმაციის შეგროვება;
7. დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება;
8. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი;
9. იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც კურსდამთავრებულს დაეხმარა ან რომლებმაც ხელი შეუშალა ცვლილებების განხორციელებაში;
10. კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება;
11. პროფორიენტაციის შედეგი კურსდამთავრებულის მომავალი საქმიანობის განსაზღვრაში;

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა კოლეჯ „აისში“ და გამოყენებული იქნა მისი რესურსები. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის, კერძოდ სატელეფონო ინტერვიუს ტექნიკის გამოყენებით.

გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შედგენილი სტრუქტურირებული კითხვარის საშუალებით, რომელმაც მოგვცა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების, გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობა.

ინტერვიუ შედგებოდა დახურული და ღია კითხვებისაგან. თითოეულ კითხვაზე რესპოდენტს უნდა გაეცა მხოლოდ ერთი პასუხი, თუმცა ზოგიერთ კითხვაზე დასაშვები იყო რამდენიმე პასუხის გაცემა. ინტერვიუს ხანგძლივობა შეადგენდა მაქსიმუმ 20 წუთს.

რესპოდენტს უნდა დაესახელებინა დასაქმების ობიექტი, საკუთარი პოზიცია დასაქმების ადგილზე, საშუალო თვიური ანაზღაურება და უმუშევრობის შემთხვევაში მიზეზი, თუ რატომ ვერ დასაქმდა. კითხვარში ასევე, შეტანილი იყო პროფესიულ განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტების შეფასება და კოლეჯში მიღებული ცოდნის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

კვლევის ტექნიკური მხარე

კვლევა განხორციელდა სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ორგანიზებით და კოლეჯ „აისის“ ფილიალების სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერების აქტიური მხარდაჭერით.

2020 წლის კურსდამთავრებულთა კვლევა განხორციელდა ორ ეტაპად. პირველი ეტაპი დაიწყო 15 ივნისს და გაგრძელდა 6 ივლისამდე. ამ დროისთვის სწავლა დასრულებული ქონდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მხოლოდ 5 ჯგუფს, რაც გამოიწვია Covid-19-ის პანდემიის გამო 4 თვით შეჩერებულმა სასწავლო პროცესებმა. კურსდამთავრებულთა კვლევის მეორე ეტაპი დაიწყო 16 ნოემბერს და გაგრძელდა 30 დეკემბრის ჩათვლით. დასაწყისში მომზადდა სამიზნე ჯგუფების სია. კონკრეტულად, 2020 წლის კურსდამთავრებულთა სია და კვლევაში მონაწილეობა მიიღო კვლევის ობიექტების გარკვეულმა რაოდენობამ, რომელიც განისაზღვრა 2020 წლის იმ კურსდამთავრებულთა რიცხვით, რომელთაც მიიღეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფი იყო კოლეჯ „აისში“ 2016 წლიდან 2019 წლის ჩათვლით სხვადასხვა პროფესიებზე ჩარიცხულ ის პირები, რომლებმაც 2020 წელს დაასრულეს სწავლა.

2020 წელს სულ გამოშვებული იქნა 339 კურსდამთავრებული, რომელთაგან 308 კურსდამთავრებულმა აიღო დიპლომი, ხოლო 31-ს არ მიენიჭა კვალიფიკაცია და დიპლომის ნაცვლად ისინი მიიღებენ კოლეჯში სწავლის დამადასტურებელ ცნობას.

საბოლოოდ, კვლევაში მონაწილეობა მიიღო სსიპ კოლეჯ „აისის“ კაჭრეთის და მისი სამი ფილიალის (დედოფლისწყარო, ალვანი და ლაგოდეხი) 306 კურსდამთავრებულმა.

1. კაჭრეთი - 139 რესპოდენტი
2. დედოფლისწყაროს ფილიალი - 70 რესპოდენტი
3. ლაგოდეხის ფილიალი - 69 რესპოდენტი
4. ალვანის ფილიალი - 28 რესპოდენტი.

კვლევის შედეგები

კვლევის თანახმად გაირკვა, რომ კოლეჯ „აისისა“ და მისი ფილიალების 306 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 204, ანუ 67%, 20 კურსდამთავრებული ანუ გამოკითხულთა 6% კვლავ აგრძელებს სწავლას პროფესიულ კოლეჯში ან უმაღლეს სასწავლებელში სხვა პროფესიის მიღების ან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. და 82 კურსდამთავრებული ანუ 27% არის უმუშევარი.



სამწუხაროდ, წინა წლებთან შედარებით დასაქმების მაჩვენებელი თითქმის 8%-ით შემცირდა. ეს განაპირობა ქვეყანაში და ზოგადად მსოფლიოში COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ, რამაც ძალიან ბევრი სფეროს და შესაბამისად სამსახურების გაჩერება გამოიწვია.

რაც შეეხება, დასაქმების ფორმას, 204 დასაქმებული კურსდამთავრებულიდან 131 ანუ 64% არის დაქირავებული და მუშაობს სხვადასხვა ორგანიზაციებში, ხოლო 73 ანუ 36% არის თვითდასაქმებული.



პროფესიების მიხედვით კურსდამთავრებულთა რაოდენობას და მათი დასაქმების მაჩვენებელს, 2020 წელს სულ 20 სხვადასხვა პროფესიის 33 ჯგუფმა დაასრულა სწავლა. პროფესიების მიხედვით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:



პროფესიებზე დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი

მევენახეობა-მეღვინეობის მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული 15 სტუდენტიდან 2 სტუდენტი გაირიცხა, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 11-მა კურსდამთავრებულმა, რომელთაგან 9 დასაქმებულია, 5 დაქირავებულია და კომპანიაში მუშაობს, ხოლო 4 კურსდამთავრებულს საკუთარი მეურნეობა აქვს და თვითდასაქმებულია. 2 კურსდათავრებული არ მუშაობს.



დასაქმების 100%-იანი მაჩვენებელია მევენახეობა-მეღვინეობის დუალურ პროგრამის კურსდამთავრებულებთან. სადაც კოლეჯ „აისში“ 2017 წლის საშემოდგომო მიღებაზე ჩაირიცხა 9 სტუდენტი, სამ მათგანს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი და შესაბამისად სწავლა დაასრულა 6-მა სტუდენტმა. ყველა კურსდამთავრებული დასაქმებულია პროფესიით და თითქმის ყველა მათგანი მუშაობს იმ კომპანიაში, სადაც მიმდინაეობდა მათი პრაქტიკული სწავლების პროცესი.

2020 წელს კიდევ ორმა დუალური პროგრამის ჯგუფმა დაასრულა სწავლა. მეხილეობის (კურკოვანი კულტურები) პროგრამაზე დასაქმების 100%-იანი მაჩვენებელია. დასაწყისში ჩრიცხული იყო 10 სტუდენტი, გაირიცხა სამი, სწავლა დაასრულა შვიდმა სტუდენტმა. მათგან ყველა დასაქმებულია. აქედან ექვსი კურსდამთავრებული მუშაობს პროფესიით და ერთი თვითდასაქმებულია.

რაც შეეხება, მეცხოველეობის (მესაქონლეობა) დუალურ პროგრამას, 2016 წელს ჩაირიცხა 8 სტუდენტი, სწავლა დაასრულა 7-მა სტუდენტმა. მათგან 5 კურსდამთავრებული (71%) მუშაობს, 2 ანუ 29% უმუშევარია.



ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის ერთ ჯგუფში ჩარიცხიული იყო 17 სტუდენტი. სწავლა დაასრულა 13-მა სტუდენტმა და ყველა მათგანი მუშაობს. ანუ აღნიშნულ პროფესიაზე დასაქმების მაჩვენებელი არის 100%.

დასაქმების მაღალი მაჩვენებელი იკვეთება სატყეო საქმის სპეციალობაზე. კურსდამთავრებულთა დაახლოებით 77% დასაქმებულია. სატყეო საქმის 4 ჯგუფში ჩარიცხული იყო 55 სტუდენტი, სტატუსი შეუწყდა 4 სტუდენტს, გამოიკითხა 48 კურსდამთავრებული, რომელთაგან დასაქმებულია 37 საიდანაც 23 დაქირავებულია, 14 თვითდასაქმებული, არ მუშაობს 11 კურსდამთავრებული. დასაქმების მაჩვენებელი გამოიყურება შემდეგნაირად: 77% მუშაობს, 23% უმუშევარია.



ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებლის სპეციალობაზე ჩარიცხული იყო 10 სტუდენტი, სწავლა დაასრულა 6-მა სტუდენტმა. მათგან 3 დასაქმებულია, 1 სწავლობს და 2 კურსდამთავრებული არ მუშაობს.



მეფუტკრის სპეციალობის ერთ ჯგუფში ჩარიცხული იყო 12 სტუდენტი, ერთს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, ორს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. სწავლა დაასრულა 9 სტუდენტმა. მათ შორის დასაქმებულია 6 ანუ კურსდამთავრებულთა 67%. 2-მა სწავლა გააგრძელა, არ მუშაობს 1 კურსდამთავრებული.



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის სპეციალობაზე კაჭრეთის, ალვანის და ლაგოდეხის ფილიალების 3 ჯგუფში ჩარიცხული 37 სტუდენტიდან, სწავლა დაასრულა ყველამ, თუმცა 9 მათგანს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 28-მა კურსდამთავრებულმა, რომელთაგან დასაქმებულია 18 ანუ 82%, უმუშევარია 3 ანუ 14%, სწავლობს 1 ანუ 4%.



რაც შეეხება ტუროპერატორს, ჩარიცხული 10 სტუდენტიდან სტატუსი შეუწყდა 4 სტუდენტს, სწავლა დაასრულა 6-მა სტუდენტმა. მათგან დასაქმებულია 3 ანუ 50%, ერთმა სწავლა გააგრძელა, ორი არ მუშაობს.



ინფორმაციის ტექნოლოგიის ორ ჯგუფში ჩარიცხული იყო 24 სტუდენტი, აღმოჩნდა, რომ მათგან სწავლა დაასრულა მხოლოდ ნახევარმა. ამ 12 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 6, უმუშევარია 5 და სწავლა გააგრძელა ერთმა სტუდენტმა. ანუ დასაქმების მაჩვენებელი არის 50%



ელექტროობის სპეციალობაზე კაჭრეთსა და დედოფლისწყაროს ფილიალში სულ 4 ჯგუფში ჩარიცხული იყო 48 სტუდენტი, 6-ს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, ხოლო 3-ს შეუჩერდა. სწავლა დაასრულა 39-მა სტუდენტმა, მათგან 5-ს არ მიენიჭა კვალიფიკაცია, გამოკითხვა ჩატარდა 34 კურსდამთავრებულთან, რომელთაგან 22 ანუ 65% დასაქმებულია, 10 ანუ 29% არ მუშაობს, ორმა ანუ 6%-მა სწავლა განაგრძო სხვა სპეციალობაზე, ელექტროობის სპეციალობის დასაქმებულ კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებლი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



ფილამწყობის სპეციალობაზე კაჭრეთში 2 ჯგუფში დასაწყისში სულ ჩაირიცხა 26 სტუდენტი, 2020 წელს სწავლა დაასრულა 15-მა სტუდენტმა, თუმცა მათგან ერთმა ვერ მიიღო კვალიფიკაცია. დარჩენილი 14 კურსდამთვრებულთაგან 9 ანუ 64% მუშაობს, 4 ანუ 29% არ მუშაობს, სწავლა გააგრძელმა ერთმა კურსდამთავრებულმა. პროფესიით დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირია: 28% დასაქმებულია სამშენებლო ორგანიზაციებში, 36% თვითდასაქმებულია სპეციალობით.



იატაკისა და ფილის სამუშაოების სპეციალობაზე ლაგოდეხის ფილიალში ჩარიცხული 10 სტუდენტიდან სწავლა ყველამ დაასრულა, თუმცა ერთმა ვერ მიიღო კვალიფიკაცია. გამოკითხული 9 კურსდამთავრებულიდან მუშაობს 7 ანუ 78%, არ მუშაობს ორი ანუ 22%. პროფესიით დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირია: 22% დასაქმებულია სამშენებლო ორგანიზაციებში, 56% თვითდასაქმებულია სპეციალობით.



ქვის სამუშაოების წარმოების პროფესიაზე ჩარიცხული 15 სტუდენტიდან სწავლა დაასრულა ყველამ, თუმცა მათგან კვალიფიკაცია არ მიენიჭა 5-ს. 10 გამოკითხული კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია ექვსი მათგანი და ოთხი კურსდამთავრებული უმუშევარია. ორგანიზაციაში დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი არის 50/50-ზე.



თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის სპეციალობაზე ლაგოდეხის ფილიალში ორ ჯგუფში ჩარიცხული 24 სტუდენტიდან სწავლა დაასრულა 23-მა, მათგან ორს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. 21 გამოკითხული კურსდამთავრებულიდან მუშაობს 14 ანუ 70% და არ მუშაობს 6 ანუ კურსდამთავრებულთა 30%. დასაქმებულთაგან 99% თვითდასაქმებულია.



პრაქტიკოსი ექთნის სპეციალობაზე დედოფლისწყაროს ფილიალში ჩარიცხული იყო 14 სტუდენტი, სწავლა დაასრულა ყველა მათგანმა, თუმცა ორს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. 12 გამოკითხული კურსდამთავრებულიდან დასაქმდა 8 ანუ კურსდამთავრებულთა 69%, 3 ანუ 24% არ მუშაობს ოჯახური მდგომარეობის გამო, ერთმა სწაავლა გააგრძელა. დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი ასეთია:



ფარმაცევტის თანაშემწის სპეციალობაზე 2018 წელს კაჭრეთში ჩაირიცხა 16 სტუდენტი. სწავლის დაწყებისთანავე ორმა მათგანმა სწავლა გააგრძელა ქართული ენის მოდულზე და დარჩენილი 14 სტუდენტიდან ყველა მათგანმა სწავლის დასრულების შემდეგ მიიღო კვალიფიკაცია. მათგან დასაქმებულია 9 კურსდამთავრებული ანუ 64%, 5 ანუ 36% არ მუშაობს ოჯახური მდგომარეობის გამო.



თმის სტილისტის სპეციალობაზე კაჭრეთსა და დედოფლისწყაროს ფილიალის ორ ჯგუფში ჩარიცხული 28 სტუდენტიდან სწავლა დაასრულა 23-მა, თუმცა, 9-ს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. გამოკითხული 14 კურსდამთავრებულიდან მუშაობს მხოლოდ სამი, 8 კურსდამთავრებული უმუშევარია. სამმა კურსდამთავრებულმა სწავლა განაგრძო სხვა პროფესიაზე. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულები დედოფლისწყაროს ფილიალის კურსდამთავრებულები არიან. კაჭრეთში დასაქმების მაჩვენებელი აღნიშნულ პროფესიაზე არის ნული.



თექის ოსტატის სპეციალობის პროგრამაზე, სადაც ალვანისა და დედოფლისწყაროს ფილიალების ორ ჯგუფში ჩარიცხული იყო 30 სტუდენტი, სწავლა ყველამ დაასრულა. თუმცა, მათგან 5-მა ვერ მიიღო კვალიფიკაცია. გამოკითხული 25 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 13, ანუ 52%, არ მუშაობს 9, ანუ 36% და სამმა ანუ 12%-მა განაგრძოო სწავლა სხვა პროფესიაზე.



აღნიშნულ პროგრამაზე და ზოგადად ხელოვნების მიმართულების სპეციალობების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა თვითდასაქმებულია.

კოლეჯ „აისში“ 2020 წელს სწავლა დაასრულა 14-მა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირმა, მათგან სამს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, ოთხს არ მიენიჭა კვალიფიკაცია. რაც შეეხება დარჩენილი შვიდი კურსდამთავრებულიდან მხოლოდ ერთი მუშაობს პროფესიით, 5 უმუშევარია და ერთმა სწავლა გააგრძელა სხვა პროფესიაზე. სსსმ პირების დასაქმებლის მაჩვენებელი პროცენტულად შემდეგნაირად გამოიყურება:



როგორც კვლევის ანალიზმა აჩვენა, დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და უმრავლეს შემთხვევაში 100%-ია დუალური სწავლების პროგრამებზე.

იმის მიუხედავად, რომ 2020 წელი ჯერ სულ ახლახანს დასრულდა და კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა კოლეჯი ძალიან ცოტა პერიოდია რაც დატოვა, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი ჯერ კიდევ სამუშაოს ძიების პროცესში არიან, 2020 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების და თვითდასაქმების წლიური მაჩვენებელი არის 67%, რაც მსოფლიოში და ზოგადად ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პანდემიის ფონზე, რამაც სამუშაო ადგილების შემცირება და შეჩერება გამოიწვია, არც ისე ცუდი მაჩვენებელია.

კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება

გამოკითხვის დროს ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევა, თუ ძირითადად საიდან იღებს საზოგადოება ინფორმაციას პროფესიული განათლების შესახებ. ინფორმაციის გადაცემის რომელი გზაა უფრო ხელმისაწვდომი და ეფექტური საზოგადოების ინფორმირებისთვის და სამომავლოდ რა მიმართულებით უფრო მნიშვნელოვანია მუშაობის გააქტიურება. კითხვაზე, თუ რა გზით მიიღეს კოლეჯის კურსდამთავრებულებმა ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ, პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად:



აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო არის ინტერნეტი, საიდანაც ყველაზე მეტი 48% მოდის კოლეჯის ფეისბუქის გვერდზე, 10% ნაწილდება კოლეჯის ვებ გვერდსა (4%) და სხვადასხვა პროფესიული განათლების პორტალებზე (6%). ყველაზე ნაკლები, 3% მოდის ტელევიზიებზე, რაც თავისთავად გვაძლევს დასკვნის საფუძველს, რომ ახალგაზრდებისთვის უფრო მოსახერხებელია ინფორმაციების ძიება ინტერნეტის საშუალებით. ტელევიზია კი ისედაც ნაკლებ დროს უთმობს გადაცემებს პროფესიული განათლების შესახებ. ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო კოლეჯის კურსდამთავრებულებისა და

სტუდენტების მიერ გავრცელებული მოსაზრებები იმ საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ, სადაც იღებენ განათლებას და ალბათ სწორედ ამიტომ იყო რომ 2020 წლის კურსდამთავრებულთა 16%-მა აღნიშნა რომ ინფორმაცია კოლეჯის შესახებ მიიღეს ნაცნობ-მეგობრებისგან, რომლებიც სწავლობდნენ ან უკვე დამთავრებული ქონდათ სწავლა კოლეჯ „აისში“. ასევე, მნიშვნელოვანია თანამშრომლების ჩართულობა და 9%-მა აღნიშნა, რომ სწორედ კოლეჯის მასწავლებლებისგან მიიღეს ინფორმაცია პროფესიების შესახებ. გაიზარდა საჯარო სკოლების ჩართულობა პროფესიული განათლების პოპულარიზაციაში. ყოველ წელს მიმდინარეობს სკოლის მოსწავლეების ვიზიტები კოლეჯში და პროფორიენტაციული შეხვედრები საჯარო სკოლებში. 7%-მა აღნიშნა, რომ პროგრამების შესახებ ინფორმაცია სწორედ კოლეჯში სტუმრობის შემდეგ მიიღო. ასევე 7%-მა აღნიშნა, რომ ინფორმაცია კოლეჯის შესახებ მიიღო სკოლაში პროფორიენტაციული შეხვედრის დროს, ან იმ სარეკლამო ბუკლეტებიდან, რომლებიც გადასცეს სკოლის წარმომადგენლებმა.

კითხვაზე, კოლეჯში ჩარიცხვის წინ მიიღეს თუ არა კონსულტაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების შესახებ, რაც კოლეჯში ჩარიცხვას და სწავლას ეხებოდა, 62%-მა უპასუხა, რომ მიიღო სრულყოფილი ინფორმაცია, 19%-მა აღნიშნა, რომ ნაწილობრივ უკვე ქონდა იფორმაცია და შესაბამისად არ საჭიროებდა კონსულტაციას, 14%-მა განაცხადა, რომ მათ ინფორმაცია მოიძიეს ინტერნეტის საშუალებით, გაიარეს ონლაინ რეგისტრაცია პორტალზე www.vet.emis.ge -ზე და საბუთების შემოტანამდე არ ქონიათ კომუნიკაცია კოლეჯის წარმომადგენელთან.



რაც შეეხება მათ მოლოდინებს, სწავლის დაწყებამდე რა მოლოდინი ქონდათ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისა და მისი დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულთა 33%-მა უპასუხა, რომ გახდებოდა საკუთარი საქმის პროფესიონალი, 11% ფიქრობდა, რომ მიიღებდა პროფესიულ თეორიულ ცოდნას, 26% ფიქრობდა პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესახებ, 11%-ს აინტერესებდა მომავალ კოლეგებთან შეხვედრა და სამუშაო გამოცდილების გაზიარება, 21%-მა კი განაცხადა, რომ ამ ყველაფრის პარალელურად გაიგებდა, სამომავლოდ სად შეძლებდა პროფესიით დასაქმებას.



კითხვაზე, გაამართლა თუ არა კოლეჯის კურსდამთავრებულთა მოლოდინები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამამ, 69%-მა უპასუხა, რომ მთლიანად გაამართლა, 28%-მა უპასუხა, რომ ნაწილობრივ გაამართლა და მხოლოდ 3%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.



ახლა რომ აბარებდეთ, აირჩევდით თუ არა, იგივე პროფესიას? ამ კითხვაზე კურსდამთავრებულთ უმრავლესობამ ანუ 91%-მა უპასუხა, რომ იგივე პროფესიას აირჩევდა, 7%-მა უპასუხა, რომ ვინაიდან სხვა პროფესიაც აინტერესებთ, შესაბამისად არჩევანს შეცვლიდნენ და 2%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.



რაც შეეხება თავად კოლეჯს, ხელმეორედ ჩაბარების შემთხვევაში იგივე კოლეჯზე გააკეთებდნენ თუ არა აჩევანს, 99%-მა უპასუხა, რომ კოლეჯში ყველანაირი პირობაა შექმნილი პროფესიის ხარისხიანად დაუფლებისთვის და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩააბარებდა სხვა კოლეჯში, თუ ისეთი პროფესიის შესწავლას გადაწყვეტდა, რომელსაც კოლეჯი „აისი“ არ ახორციელებს.

როგორ შეაფასებდით პროგრამის ფარგლებში სწავლების ხარისხს, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მიმართებაში? პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ძალიან კარგი - 65%, კარგი - 24%, დამაკმაყოფილებელი - 8%, პასუხის გაცემა გაუჭირდა 3%-ს.



როგორ შეაფასებდით კოლეჯში არსებულ შეფასების სისტემას? 82%-მა უპასუხა, რომ ობიექტურია, 9%-მა უპასუხა, რომ მეტ-ნაკლებად ობიექტურია, 2%-მა არაობიექტურად მიიჩნია, ხოლო 7%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.



სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა კურსდამთავრებულებმა შემდეგნაირად შეაფასეს: 78% ძალიან კარგი, 16% კარგი, 4% დამაკმაყოფილებელი და 2%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა. აღსანიშნავია, რომ უარყოფითი პასუხი არცერთ კურსდამთავრებულს არ დაუფიქსირებია.



უზრუნველყოფილი იყო თუ არა კოლეჯში დამატებითი/არაფორმალური აქტივობების (სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი და სხვა ტიპის ღონისძიებების) წახალისება და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა? 93%-მა უპასუხა, რომ დიახ, 4-მა პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა და 3%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.



ღებულობდით თუ არა კოლეჯში ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით? კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ვაკანსიები ქვეყნდებოდა კოლეჯის ვებ-გვერდზე, ფეისბუქის გვერდზე და სტუდენტთა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ცენტრის დახურულ ჯგუფში. ასევე, დასაქმების შესაძლებლობების გაცნობა ხდებოდა ინდივიდუალურად.



უწევდა თუ არა კოლეჯი ორგანიზებასა და მხარდაჭერას ისეთი ტიპის ღონისძიებებს, რომელიც ხელს უწყობდა ან მომავალში შეუწყობს პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმებას? 82%-მა უპასუხა დიახ, 3%-მა უპასუხა არა და 15%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.



იმ 84-მა კურსდამთავრებულებმა, რომლებიც არ არიან დასაქმებულები კითხვაზე, პროფესიული პროგრამების დასრულების შემდეგ რატომ ვერ იშოვეს სამსახური, თითქმის ნახევარმა ანუ 50%-მა ოჯახური პირობები დაასახელა მიზეზად, 29%-მა განაცხადა, რომ პანდემიიდან გამომდინარე თავს იკავებს სამსახურის დაწყებისგან დანარჩენმა კი არასაკმარისი კვალიფიკაცია (2%) და არასაკმარისი გამოცდილება (10%) დაასახელა მიზეზად. 9%-მა კი განაცხადა, რომ უმუშევრობის მიზეზი მის პროფესიაზე არასაკმარისი მოთხოვნაა.



თქვენი აზრით, მთლიანობაში, პროფესიულ სასწავლებელში მიღებული განათლება ხელს უწყობს თუ არა სამუშაოს დაწყებას? 85%-მა უპასუხა, რომ, რა თქმა უნდა ხელს უწყობს კოლეჯში მიღებული განათლება დასაქმებაში, 11%-მა უპასუხა, რომ ნაწილობრივ და მხოლოდ 4%-მა გასცა უარყოფითი პასუხი.



კოლეჯ „აისში“ ყოველწლიურად ტარდება კურსდამთავრებულთა კვლევა. კვლევის თანახმად, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება, თუმცა, წელს სამწუხაროდ, მსოფლიაო პანდემიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ბოლო ორი წლის განმავლობაში 75%-მდე გამყარებული დასაქმების მაჩვენებელი 8%-ით შემცირდა.



ძირითადი დასკვნები

პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა რეგულარული კვლევა პროფესიული განათლების პოლიტიკის გამტარებლებს და პროვაიდერებს საშუალებას აძლევს გაანალიზონ პროფესიული განათლების ხარისხი და მისი გავლენა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. კოლეჯ „აისის“ 2020 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაახლოებით 67% დასაქმებულია, მათგან ნაწილი საქმდება საკუთარი პროფესიით და თვითდასაქმებულთა რაოდენობაც საკმაოდ მაღალია გარკვეულ პროფესიებზე. თუმცა, არიან კურსდამთავრებულები, რომლებიც ვერ დასაქმდნენ, გარკვეულმა რაოდენობამ კი, დაახლოებით 6%-მა სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა.

რესპოდენტთა უმრავლესობას პროფესიული განათლების მიმართ ჰქონდა დადებითი შეხედულება და კოლეჯ „აისში“ სწავლის შემდეგ მათი ეს მოლოდინები გამართლდა, რადგან მათი აზრით, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა და პროფესიისთვის საჭირო რესურსები იძლევა ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა კმაყოფილია მიღებული პროფესიული განათლებით და დადებითად აფასებს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

2020 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელზე გავლენა იქონია საქართველოში და ზოგადად მთელს მსოფლიოში COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ, რომელმაც ზოგადად მოიტანა სამუშაო ადგილების არა მარტო შემცირება, არამედ ზოგ შემთხვევაში გაუქმება და რიგ შემთხვევებში კი სრულიად შეიცვალა შრომის ბაზრის მოთხოვნა. ადამიანების ნაწილი გადაეწყო ახალ სამუშაო გარემოზე და ნაწილს გაუჭირდა ახალ რეალობასთან მორგება. პროფესიული განათლება სწორედ ის არის, რომელსაც შეუძლია მყისიერი რეაგირება მოახდინოს და დროულად დანერგოს ახალი პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების მაჩვენებლის დადებით ცვლილებას სამომავლოდ.